პროლეტარეგო ყველა ყვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 მარტი ხუთშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 73 (15894)

ბრიგადული იჯარის სიკეთე

ზლობინის მეთოდით

სურათზე: ბრიგადული იჯარით მომუშავე კომკავშირულ-ახალგაზრდული სამშენებლო ბრიგადის ხელმძღვანელი თამაზ სარალიძე. იგი მუშაობს მთავარ-თბილმშენის მე-14 ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოში ზლობინის მეთოდით. ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, წარმატებით შეასრულა 1974 წლის პირველი კვარტალის სამშენებლო სამუშაოთა გეგმა. მისი ბრიგადა ეჯარება თბილისის ცნობილი სახლმშენებლის ვ. გალდავას ბრიგადას. მალე თ. სარალიძის ბრიგადა გადადის მშენებლობის ახალ მეთოდზე — „მონტაჟზე ბორბლებიდან“.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

ბრიგადული იჯარის ბრიგადა ... ბ. ... ...

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

გაეგნენ

ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის პასუხი რედაქციის კომენტარებიდან

□

„გაეგნენ“. ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყვნენ ცეტრუსებით მოვაჭრე სპეკულანტები, მათი დანაშაულებრივი საქმიანობა. აღნიშნული წერილთან დაკავშირებით ლანჩხუთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ებრაელიძემ რედაქციას აცნობა, რომ წერილში დასახელებული თაქტები შემოწმებით დადასტურდა.

კერძოდ, წერილში მხილებული იყო, — ნათქვამია პასუხში, — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელის მეცხოვრები ვ. ყაპანაძე, რომელიც მილიციის ორგანოებმა თანამსაქმეებთან ერთად ქალაქ სოხუმში დაიკავეს, მაშინ, როცა ისინი ცოდილობდნენ რუსეთში გადასვლას. ბელინსკაშვილი, გიორგი სიგუა, ვაჟა გიგიბერია. სწორედ ისინი იყვნენ, პირველი ქართული ფოლადი რომ გამოადნეს და ქარხანას დიდების სახელი შეუქმნეს.

მას შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა. მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს ბევრი სიძნელის გადალახვა სჭირდებოდა, რომ ათვისებინა თუჯის გამოდნობა. ფოლადის წარმოება. ეს წარმატების ხანაც და ჩავარდნების წლებიც. მაგრამ კოლექტივი არასდროს არ ჩაკარგვიდა მომავლის რწმენას.

რა დახამალავია და მეტალურგები საგრძნობლად ჩამორჩნენ 1971-1972 წლებში. მათ ქვეყანას დააკლეს ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, კოქსი. ზარალმა მილიონობით მანეთი შეადგინა. ზოგიერთმა მუშამ ხელიც კი ჩაიქნია და შობლიური საწარმო მიატოვა.

— ჩვენ ვიცოდით, რომ ამ მოშვებულობასა და მოდუნებას ბოლოს და ბოლოს წერტილი დაესმებოდა, — გვეუბნება იური გურგენიძე და მაღალ შეფასებას აძლევს ღონისძიებებს, რომლებიც დღეს რესპუბლიკაში ხორციელდება.

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენამ, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებამ მშობლიური საწარმოსაკენ მოაბრუნა ბევრი მეტალურგი. ყველგან, ყველა საამქროში და უბანზე წესრიგი დამყარდა, გაიზარდა თვითეული ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშაკის პასუხისმგებლობა და აღ არც თუ ისე შორეულ წარსულში ჩამორჩენილი საწარმო კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩადგა. შარშან მეტალურგებმა 10 დღით ადრე გაანაღდეს პროდუქციის გამოშვების ღლიური დავალება. ეგეგმის გადამეტებით გამოუშვეს 5.300 ათასი მანეთის პროდუქცია. რეალიზებულია 2.600 ათასი მანეთის ნაწარმი.

— ამ წარმატებებმა არ უნდა დაგვამშვიდოს, — ამბობენ ქართველი მეტალურგები, ეძებენ და ახორციელებენ შემდგომი წინსვლის გზებსა და მეთოდებს.

გავეცანით მეტალურგების შემხვედრ გეგმას. ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რომ ეს გეგმა სინამდვილედ იქცეს. მარტო ის, რომ სახალხო მეურნეობას წელს გეგმის გადამეტებით უნდა ბაბაზავნოს 300 ათასი მანეთის პროდუქცია, 15 ათასი ტონა მეტალურგიული კოქსი, 3 ათასი ტონა თუჯი, 5 ათასი ტონა ფოლადი, ამდენივე ნაგლინი და სხვ.. უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ქარხნის კოლექტივს.

რა დამატებითი კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებია ამისათვის საჭირო?

ამ კითხვაზე ქარხნის დირექტორმა ოთარ სულაძემ თქვა: შემბვედრი გეგმის შესრულებისათვის აუცილებელი როდია დამატებითი მატერიალური და შრომითი რესურსები. პირიქით, ჩვენი საწარმოს შემხვედრ გეგმაში თავი და თავი ის არის, რომ მას განვახორციელებთ შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლინებით, სამუშაო დროის მაქსიმალური გამოყენებით. ერთი სიტყვით, საქმე ეხება ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის გამოშვებას.

როგორ აპირებენ მეტალურგები რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებას? უპირველეს ყოვლისა წარმატების წინაპირობას ისინი სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობასა და საჯაროობაში ხედავენ, დიდ იმედებს ამყარებენ მოწინავეთა გამოცდილებაზე. სოციალისტური შეჯიბრების არსი ხომ ის არის, რომ თვითეული მოწინავის მიჯნა მთელი კოლექტივის მიღწევად იქცეს.

იური გურგენიძის მაგალითი ავიღოთ. ჯერ კიდევ შარშან მან შეიმუშავა ფოლადის ჩქაროსნული დნობის ახალი მეთოდი, რომელიც ქარხანაში უკვე შეისწავლეს და ანალიზი გაუკეთეს, ახლა ორჯერ გაიზარდა ჩქაროსნული დნობების რაოდენობა.

ერთ-ერთ საწარმოო რეზერვად მეტალურგებს კანონიერად მიაჩნდათ ღუმელის რემონტიდან რემონტამდე დროის გახანგრძლივება. ეს კი თავის მხრივ საუალებას იძლევა გაიზარდოს პროდუქციის წარმოება, დაიზოგოს მასალები და სამუშაო დრო. მეტალურგებმა გაიანგარიშეს, რომ თუ რემონტების დროსა და რიცხვს თუნდაც 5 პროცენტით შეამცირებენ, შეძლებენ წელიწადში დამატებით აწარმოონ 3 ათასი ტონა ფოლადი. მეტალურგები პრაქტიკულად ახორციელებენ ღონისძიებებს ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირება მუდამ დგას მეტალურგთა ყურადღების ცენტრში. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი. მაჩვენებლები აქვთ მიმდინარე სამეურნეო წელს. იანვარში, მაგალითად. სასაქონლო პროდუქციის დანახარჯები ეგეგმასთან შედარებით შემცირებულია 501 ათასი მანეთით. ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციის ფაქტიური დანახარჯი შეადგენს 97,7 კაპიკს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 101,1 კაპიკისა. ქარხანამ თავისი საბალანსო ზარალი ეგეგმასთან შეფარდებით 29 ათასი მანეთით შეამცირა, რაც უდავოდ კოლექტივის ეფექტიანი მუშაობის შედეგია.

საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები კიდევ უფრო გაუმჯობესდება, როცა პრაქტიკულად განხორციელდება ქარხნის კაპიტალური რეკონსტრუქცია. მიღებულია დადგენილება, რომ უახლოეს პერიოდში კოქსქიმიური საამქროს ხაოქსე ბატარეებზე განხორციელდეს შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. მარტენის ღუმელების მდგრადობის გახანგრძლივებისა და მუშაათა პირობების გაუმჯობესების მიზნით ღუმელები იმუშავებენ ბუნებრივ გაზზე, დაიწყება ფურცელსალესავნივ დგან „2100“-ის რეკონსტრუქცია, ვარაუდობენ, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ დგანის წარმადობა დაახლოებით ორჯერ გაიზრდება. მთელი რიგი საინტერესო სიახლენი განხორციელდება მილსაგლინავ საამქროშიც.

მეტალურგთა შემხვედრ გეგმაში მარტო წარმოების განვითარების საკითხები როდია აღძრული. მასში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ზრუნვას მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება მეტალურგთა ხელფასი, დიდი ყურადღება ეთმობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებას. ამის ნათელ დადასტურებას იძლევა უკვე განხორციელებული ღონისძიება მუშათა სასადილოებში კერძების ფასების მნიშვნელოვანი შემცირებისათვის. ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საამქროთა აბანოების და სხვა სამომსახურეო ობიექტების მუშაობას. დიდი რაოდენობით აშენდება საცხოვრებელი ბინები. მარტო წელს 500-ზე მეტი მეტალურგის ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას. უნდა დამთავრდეს რუსთავის მთაზე დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობა.

შეჯამებულია ხუთწლედის მეცხრე, განმსაზღვრელი წლის პირველი თვეების მუშაობის შედეგები. მეტალურგებს, რომლებიც მოწინავე საწარმოთა რიგებში დგანან, უკვე მარაგში აქვთ გამოშვებული ათასობით ტონა ზეგეგმიური თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები.

არ შეგვანელოთ ტემპი, მჭასმალურად გამოვიყენოთ თვითეული წუთი, გამამტკიცოთ მოპოვებული წარმატებები — ასეთია ქართველი მეტალურგების ახალი სიბრძოლო ამოცანა.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

□ რუსთაველმა მეტალურგებმა დაიბრუნეს ძველი ლიდერობა □ ეიფელ-ჯერი - მიჩა - საწარმოო-ტექნიკური დონის ამაღლებისა და ეკონომიის ახალი მეთოდი □ დღის წესრიგშია საწარმოს მთლიანი რეკონსტრუქცია □ კაშირი 300 საკავშირო ინსტიტუტთან □ 500 მეტალურგი იზეიმებს ახალმოსახლეობას.

პასუხისმგებლობის გრძნობა

ასე იბრძვიან რუსთაველი მეტალურგები დნობის ჩქაროსნული მეთოდების დანერგვისა და დროის ეკონომიისათვის

იური გურგენიძე იმ დღეს, როცა ჩვეულებრივზე ნახევარი საათით ადრე გამოცხადდა ღუმელთან, თავისი წესითა და რიგით წარმართა აგრეგატის ექსპლოატაცია. ბოლოს ლაბორატორიიდან დადებითი დასკვნა რომ მიიღო, თვით ხელისშემწყობებს მიმართა — ფოლადი გაეშვათ.

ჩანჩქერივით წამოვიდა ადუღებული მასა და თვალის დახამხამებაში აიავსო ვეებერთელა სათავსი. მეტალურგები მას ბოყვს ეძახიან.

მარტენის საამქროში ბეჭრჯერ ვყოფილვართ და ბევრჯერაც გვინახავს ფოლადის გაშვების ეს პროცესი. მაგრამ რატომღაც ახლა დამებადა კითხვა:

— იური, თქვენს მიერ გამოდნობილი ფოლადი რომ რკინიგზის მაგისტრალად გვექცია, რა სიგრძისა გამოვიდოდა?

მეფოლადე დაფიქრდა და თქვა:

— ალბათ მოსკოვში ჩავიყვანდა. უცებ წარმოვიდგინეთ ქართველი მეფოლადეების შრომის ბარაჯა. აქ ხომ გურგენიძესთანა ბიჭები სხვებიც ბევრნი არიან. წარმოვიდგინეთ და უცებად თვალწინ დაგვიდგა შალვა ეუბალეიშვილი, ამირან ფანცულაია, მიხეილ სპანდერაშვილი, გიორგოლ ბერეკაშვილი, გიორგი სიგუა, ვაჟა გიგიბერია. სწორედ ისინი იყვნენ, პირველი ქართული ფოლადი რომ გამოადნეს და ქარხანას დიდების სახელი შეუქმნეს.

მას შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა. მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს ბევრი სიძნელის გადალახვა სჭირდებოდა, რომ ათვისებინა თუჯის გამოდნობა. ფოლადის წარმოება. იგი წარმატების ხანაც და ჩავარდნების წლებიც. მაგრამ კოლექტივი არასდროს არ ჩაკარგვიდა მომავლის რწმენას.

რა დახამალავია და მეტალურგები საგრძნობლად ჩამორჩნენ 1971-1972 წლებში. მათ ქვეყანას დააკლეს ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, კოქსი. ზარალმა მილიონობით მანეთი შეადგინა. ზოგიერთმა მუშამ ხელიც კი ჩაიქნია და შობლიური საწარმო მიატოვა.

— ჩვენ ვიცოდით, რომ ამ მოშვებულობასა და მოდუნებას ბოლოს და ბოლოს წერტილი დაესმებოდა, — გვეუბნება იური გურგენიძე და მაღალ შეფასებას აძლევს ღონისძიებებს, რომლებიც დღეს რესპუბლიკაში ხორციელდება.

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენამ, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებამ მშობლიური საწარმოსაკენ მოაბრუნა ბევრი მეტალურგი. ყველგან, ყველა საამქროში და უბანზე წესრიგი დამყარდა, გაიზარდა თვითეული ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშაკის პასუხისმგებლობა და აღ არც თუ ისე შორეულ წარსულში ჩამორჩენილი საწარმო კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩადგა. შარშან მეტალურგებმა 10 დღით ადრე გაანაღდეს პროდუქციის გამოშვების ღლიური დავალება. ეგეგმის გადამეტებით გამოუშვეს 5.300 ათასი მანეთის პროდუქცია. რეალიზებულია 2.600 ათასი მანეთის ნაწარმი.

— ამ წარმატებებმა არ უნდა დაგვამშვიდოს, — ამბობენ ქართველი მეტალურგები, ეძებენ და ახორციელებენ შემდგომი წინსვლის გზებსა და მეთოდებს.

გავეცანით მეტალურგების შემხვედრ გეგმას. ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რომ ეს გეგმა სინამდვილედ იქცეს. მარტო ის, რომ სახალხო მეურნეობას წელს ეგეგმის გადამეტებით უნდა ბაბაზავნოს 300 ათასი მანეთის პროდუქცია, 15 ათასი ტონა მეტალურგიული კოქსი, 3 ათასი ტონა თუჯი, 5 ათასი ტონა ფოლადი, ამდენივე ნაგლინი და სხვ.. უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ქარხნის კოლექტივს.

რა დამატებითი კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებია ამისათვის საჭირო?

ამ კითხვაზე ქარხნის დირექტორმა ოთარ სულაძემ თქვა: შემბვედრი გეგმის შესრულებისათვის აუცილებელი როდია დამატებითი მატერიალური და შრომითი რესურსები. პირიქით, ჩვენი საწარმოს შემხვედრ გეგმაში თავი და თავი ის არის, რომ მას განვახორციელებთ შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლინებით, სამუშაო დროის მაქსიმალური გამოყენებით. ერთი სიტყვით, საქმე ეხება ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის გამოშვებას.

როგორ აპირებენ მეტალურგები რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებას? უპირველეს ყოვლისა წარმატების წინაპირობას ისინი სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობასა და საჯაროობაში ხედავენ, დიდ იმედებს ამყარებენ მოწინავეთა გამოცდილებაზე. სოციალისტური შეჯიბრების არსი ხომ ის არის, რომ თვითეული მოწინავის მიჯნა მთელი კოლექტივის მიღწევად იქცეს.

იური გურგენიძის მაგალითი ავიღოთ. ჯერ კიდევ შარშან მან შეიმუშავა ფოლადის ჩქაროსნული დნობის ახალი მეთოდი, რომელიც ქარხანაში უკვე შეისწავლეს და ანალიზი გაუკეთეს, ახლა ორჯერ გაიზარდა ჩქაროსნული დნობების რაოდენობა.

□ ლამაზი დაპირებების „ოსტატები“ □ საეჭვო „მეურვეობა“ □ სად არის ქალაქის თავი დამარხული? □ დირექტორები წარამარა იცვლებიან □ ეს ბოროტება არ მოსდებოდა, რომ...

ჩაის ფოთლის პრეფის სეზონის წინ

ათასობით მანეთი ზარალი

ჩვენს ხელთ არის ერთი საწარმოს საგულდაგულოდ შედგენილი ვალდებულებანი. იგი ასე იწყება: „დიდი ამოცანების წინაშე დგას ნაგომრის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი 1973 წელს... გულმოდგინედ ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და ვიკისრეთ შემდეგი ვალდებულებები...

— მტკიცედ დავიცავთ ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიურ რეჟიმს, უმაღლესი ხარისხის ... ნაკლებად არიან დაინტერესებული მრავალშვილიანი დედების მგდმარეობით. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების საყოფაცხოვრებო პირობებისადმი. ნაკლები ყურადღება ეჩქცევა დედებისათვის სახელმწიფო დახმარებისა და სხვა შეღავათების შესახებ კანონმდებლობის განმარტების საქმეს.

ზოგიერთი რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებმა დებულების შესაბამისად არ არის გაფორმებული კომისიის ოქმები მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების დანიშვნის შესახებ.

ზოგიერთ რაიონში (მარნეულის, დუშეთის, კასპის, საგარეჯოს) დროულად არ წარადგენენ ჯილდოზე მრავალშვილიან დედებს.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

ეგულარულად იმართება მეცადინეობა ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პოლიტიკური განათლების კსელში, სემინარებში აქტიურად მონაწილეობს სოფლის მრავალი კოლმეურნეი და კომკავშირელი. მეცადინეობას ატარებენ გამოცდილი პროპაგანდისტები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების წამყვანი სპეციალისტები.

სურათზე: კოლმეურნეობის უფროსი აგრონომი, პროპაგანდისტი ვრიგოლ წურწუმია სემინარს ატარებს ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელ ჯგუფში.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელშიც მოესმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ ს. დურმიშიძის მოხსენება მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის ფულადი დახმარების დანიშვნისა და გაცემის საქმეში არის ნაკლოვანებანი.

ამაშინ, ახალციხის, გარდაბნის, ლაგოდეხის, ქარელის, ზუღდიდის და სხვა რაიონებში ყოფილა შემთხვევები, როცა არასწორად განესაზღვრავთ ერთდროული და ყოველთვიური დახმარების ოდენობა.

ჯანმრთელობის დაცვის აღგილობრივი ორგანოები ნაკლებად არიან დაინტერესებული მრავალშვილიანი დედების ჯანმრთელობის მდგომარეობით. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების საყოფაცხოვრებო პირობებისადმი. ნაკლები ყურადღება ეჩქცევა დედებისათვის სახელმწიფო დახმარებისა და სხვა შეღავათების შესახებ კანონმდებლობის განმარტების საქმეს.

ზოგიერთი რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებმა დებულების შესაბამისად არ არის გაფორმებული კომისიის ოქმები მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების დანიშვნის შესახებ.

ზოგიერთ რაიონში (მარნეულის, დუშეთის, კასპის, საგარეჯოს) დროულად არ წარადგენენ ჯილდოზე მრავალშვილიან დედებს.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები

გვესაუბრება სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ი. სუხარევი

როგორც უკვე ვიწუწყებოდით, თბილისში მუშაობა დიწყო სრულიად საკავშირო სემინარმა. მისი თემაა **„მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების სისტემაში“.** სემინარი მოაწყვეს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, ლენინის ორდენოსანმა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნამ“, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და საზოგადოება „ცოდნამ“. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილეს ა. ი. სუხარევს განემარტა სახალხო უნივერსიტეტების როლი მშრომელთა სამართლებრივი აღზრდისათვის მუშაობაში.

— ალექსანდრე იაკობის-ძევ, უწინარეს ყოვლისა გვინდა მოკლედ დაახასიათოთ ახლანდელი სრულიად საკავშირო სემინარის მნიშვნელობა.

— ჩვენმა სემინარმა უნდა განიხილოს სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისა და ზნეობრივი აღზრდის დიდმნიშვნელოვანი პრობლემები. როგორც ცნობილია, სწორედ სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებმა უნდა შეასრულონ წამყვანი როლი ამ საქმეში.

— რამდენად გავრცელდა სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები ჩვენს ქვეყანაში?

— სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები შეიქმნა ათ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ. პირველ წლებში ისინი მუშაობდნენ მხოლოდ დიდ ქალაქებსა და სამეცნიერო ცენტრებში. ამჟამად საბჭოთა კავშირში 2.700-მდე სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტია, რომელთა მსმენელების რიცხვი 600 ათასს აღემატება. მაგრამ ამ ციფრებსაც ვერ დავჯერდებით. საჭიროა კვლავაც თანმიმდევრულად ვმუშაობდეთ სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ქსელის შემდგომი განვითარებისათვის.

— მსმენელთა რა კონტინგენტისათვის არის გათვალისწინებული სამართლებრივი ცოდნის უნივერსიტეტი?

— სახალხო უნივერსიტეტების მთავარი ამოცანაა იურიდიული ცოდნის საფუძვლები გაიცნოს უწინარეს ყოვლისა, იმათ, ვისაც თავისი სამსახურისა და საზოგადოებრივი მუშაობის გამო საქმე აქვს კანონთან, საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა დაცვასთან. სახალხო უნივერსიტეტებში მეცადინეობენ რაზმელები, ამხანაგურ სასამართლოთა წევრები, სახალხო მსაჯულები, პროფკავშირული აქტივისტები, სამეურნეო ხელმძღვანელები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომთა მუშაკები.

— დაუბრუნდეთ სრულიად საკავშირო სემინარის მუშაობას. სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის დონის ამაღლებასთან დაკავშირებული რა პრობლემები უნდა გადაწყვიტონ სემინარის მონაწილეებმა?

— ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პრობლემაა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფა, მისი პროფესიული და იდეური შინაარსის გამდიდრება. უნივერსიტეტებმა სამართლებრივი განათლების, ამ მუშაობაში შემეცნებითი და აღმზრდელობითი მომენტებების უნარიანი შეხამების დიდი გამოცდილება შეიძინეს. ამასთანავე, სემინარმა კრიტიკულად უნდა გაანალიზოს ეს გამოცდილება, გაითვალისწინოს ყოველივე საყურადღებო, უკუაგდოს ყველაფერი, რაც ვერ გაამართლა პრაქტიკამ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებმა უნდა გადაჭრან, ის არის, რომ უფრო ფართოდ ჩაბან უნივერსიტეტების მუშაობაში სამართლის დარგის თვალსაჩინო მეცნიერები. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გამოიძებნოს იმ პრაქტიკულ მუშაკებთან მათი შემოქმედებითი თანამეგობრობის ფორმები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ დამნაშავეობისა და სამართალდარღვევის პროფილაქტიკის დარგში.

ბევრი უნდა იმუშაონ სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებმა ისეთი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელადაც, რომლებიც არის აუდიტორიისადმი ადიდიფერენციერებული მიდგომა, სამართლებრივი პროპაგანდის სუსტი კავშირი ამა თუ იმ საწარმოო კოლექტივებში, ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვისათვის ბრძოლის მდგომარეობასთან.

— რას უსურვებთ სრულიად საკავშირო სემინარის მონაწილეებს, სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ყველა მუშაკს?

— უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, წარმატებას შრომასა და კეთილშობილურ მუშაობაში. სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები უდიდეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მუშაობას ეწევიან. ამ მუშაობის წარმატებაზე ბევრად არის დამოკიდებული იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმმა დასახა დამნაშავეობისა და სამართალდარღვევის, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვისათვის, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

— და ბოლოს, უკანასკნელი კითხვა. რით არის გამოწვეული, თქვენი აზრით, ის რომ, სწორედ ქალაქი თბილისი აირჩიეს წლევანდელი სრულიად საკავშირო სემინარის ადგილად.

— არჩევანი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. საქართველო ერთ-ერთი პირველი რესპუბლიკაა, რომელმაც აქტიურად დაიწყო მუშაობა სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ქსელის განვითარებისათვის. აქ დაგროვილი აქვთ სახალხო უნივერსიტეტების დაკომპლექტების დიდი გამოცდილება და გათვალისწინებულია მსმენელთა საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობა. ფართო გავრცელების ღირსია ქართველი ამხანაგების გამოცდილების გავრცელება, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ სამეურნეო კადრების სამართლებრივი კულტურის ამაღლებას, ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით. ჩვენს უნივერსიტეტებს მათთვის დამახასიათებელი მეთოდებითა და ფორმებით, როგორც ეს გამოცდილებამ გვიჩვენა, შეუძლიათ დიდი ყურადღება დაუთმონ სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფას. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 25 მარტის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ოსანა ნიკოლოზის ასული **აივაზაშვილი** — ახმეტის რაიონის ქისტაურის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, მეაბრეშუმეობის დარგის ნოვატორი, — სოფლის მეურნეობის დარგში წინგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის. დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამხ. გრიგოლ გაბრიელის-ძე **ბილიხოძე,** — ლუშეთის რაიონის მაღაროს-ცარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, — საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

ამხ. შალვა **გაბრიელის-ძე მწითური,** — ყინვალის ქიდრო-ტექნიკური კომბინატის მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, — პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

ფერმების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე

მათი მიზანია მეცხოველეობის რენტაბელობა

ფითელფყარო. (საკ. კორ. ტელეფონით). ფეთელწყაროს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანმა პირუტყვმა, ცხვარმა და სხვა პირუტყვმა კარგად გამოიზამთრა.

კოლმეურნეობათა უმრავლესობას კარგად აქვს შეკეთებული და დათბუნებული პირუტყვის ბინები, საკმაოდ აქვთ საკვები, ჰაყვთ საკმარისი რაოდენობის მომყვანი პერსონალი. ბევრ ფერმასა და ბრიგადაში ზამთრის პერიოდში დასახმარებლად მოვიდნენ კოლმეურნეები — კომუნისტები და კომკავშირელები.

მათი კარგი მუშაობის შედეგია, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულეს ხორცისა და რძის სახელმწიფო შესყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.026 ტონა ხორცი, 2.700 ტონა რძე.

დათვალიერების ძირითადი მიზანი იყო გამოვლინებინათ ნაკლოვანებები, შეეფასებინათ მათი მიზეზები და მდგომარეობის გამოსწორებისათვის ადგილზევე მიეღოთ გადამჭრელი ზომები. ასევე მოხდა. ბევრ კოლმეურნეობაში, ფერმაში, ბრიგადაში, დამთვალიერებლები წაუყენებენ სერიოზულ დარღვევებს, ნაკლოვანებებს, დაუდგენრი და უყაირათო მუშაობის ფაქტებს. განსაკუთრებით ამაღელვებელია, რომ ადგილი აქვს პირუტყვის დიდ სიკვდილიანობას. მარტო იანვარ-თებერვალში რაიონში დაიხოცა 35 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 2.163 სული ცხვარი, 865 სული ღორი.

კარგმა მოვლამ იცი ის...

წალენჯიხა. („კომუნისტის“ კორ.). რაიონში მეცხოველეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამიტომაც არის, რომ მეცხოველეობის განვითარება პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია. ამ დარგის განვითარებას დიდად უწყობს ხელს ფერმების ტრადიციული დათვალიერება. წელს ამ ღონისძიებას წინ უძღოდა საზამთრო საძოვრებზე პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის ზრუნვა.

დათვალიერების შედეგები მოწმობენ, რომ რაიონში ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი დგომარეობაა. ქება დაიმსახურა წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ე. მესხია, ფერმის გამგე ბ. ქარდაშა), ფერმის მწველავის ვალენტინა ყიფიანის ვალდებულებაა მოსავლელად მიჩენილი 14 ძროხიდან საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღოს 2.000 კილოგრამი რძე ნაცვლად 1.500 კილოგრამისა, მიიღოს და შეინარჩუნოს 13 ხბო. გადაჭარბებით ითქვა ის შესრულებული სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის პირველი კვარტლის გეგმები.

კარგად მოვლილი პირუტყვი ჰყავთ წალენჯიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ყვარაცხელია, ფერმის გამგე ა. შანამა), სადაც ხორცისა და რძის დამზადების დაგეგმილი დიდი გადაჭარბებით შესრულდა. სოფელ ჯვარის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. მანია) პირველ კვარტალში სახელმწიფოს მიჰყიდა გეგმაზე 25 ცენტნერით მეტი რძე, 20 ცენტნერით მეტი ხორცი.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და ფერმების დათვალიერების შედეგებს ამ დღეებში განიხილავს პარტიის რაიკომის ბიურო.

ჩილელ პატრიოტთა მხარდასაჭერად

მომავალ პლანეტაზე ფართოვდება ჩილელი ხალხისადმი სოლიდარობის მოძრაობა. მოძრაობის მონაწილენი სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ჩილეს სამხედრო ხუნტას, მოითხოვენ შეწყდეს ტერორი და რეპრესიები, სოლიდარობას უცხადებენ ჩილელ პატრიოტებს. ასეთი მასობრივი სოლიდარობის მოძრაობა სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობს.

იაპონიის პროგრესულმა ძალებმა გადაწყვიტეს სოლიდარობის მასობრივი მიტინგები გაამართონ მთელ რიგ ქალაქებში. ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისალებად ტოკიოში ჩავიდა ჩილეს პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ქვრივი ორტენსია ბუსი დე ალიენდე, რომელიც ჩილელი ხალხისადმი სოლიდარობის კომიტეტმა და სრულად იაპონიის ქალთა ორგანიზაციების ფედერაციამ მიიწვიეს.

ბაღდადიდან იუწყებიან, რომ ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა 100 ათასი დოლარი გაგზავნოს ჩილეს ფაშისტური სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ მებრძოლ პატრიოტთა და დემოკრატთა დახმარების ფონდში. ეს განაცხადა აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უსეფ ეს-სიბაიმ ამ ორგანიზაციის საბჭოს მე-11 სესიაზე, რომელიც ბაღდადში მიმდინარეობს.

„არც ერთი ცენტი, არც ერთი შაშხანა ჩილეს სამხედრო ხუნტას", — გაიძახოდნენ ამას წინათ პარიზში გამართული დემონსტრაციის მონაწილენი. დემონსტრაცია, რომელშიც 10 ათასი კაცი მონაწილეობდა, მოეწყო ევროპელ წოდებული „პარიზის კლუბის" ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ გადაუდონ ჩილეს საგარეო ვალის გადახდა.

„პარიზის კლუბის" წევრებმა, რომელშიც შედიან დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები და იაპონია, მიიღეს გადაწყვეტილება გადაუდონ ჩილეს 4 მილიარდი დოლარი საგარეო ვალის დაფარვის ვადა, თავის დროზე „პარიზის კლუბის" წევრებს არაერთგზის უთქვამთ უარი ვადის გადადებაზე სალვადორ ალიენდეს სახალხო ერთიანობის მთავრობისათვის. (საკდესი).

მკაცრად გმობენ რასიზმს

ნიუ-იორკი, 27 მარტი. (საკდესი). სამხრეთ როდეზიის რასისტულ რეჟიმს მკაცრად გმობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის კომიტეტში. თეთრკანიანთა უმცირესობის მთავრობა არ წარმოადგენს ზიმბაბვეს ხალხს, მისი ინტერესების ნამდვილი გამომხატველი არიან პატრიოტები, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას აწარმოებენ, — ასეთია კომიტეტში გამოსვლათა ძირითადი ტონი.

ტანზანიის წარმომადგენელმა ნ. ლუგომ აღნიშნა, რომ ვითარება როდეზიაში ახლა ხელს უწყობს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომის მოძრაობის განვითარებას. მკვიდრი-მოსახლეობა მას ფართოდ უჭერს მხარს. აფრიკელთა წინააღმდეგ უკანონო რეჟიმის მიერ რეპრესიების გამლიერებას მოჰყვა ის, რომ კატასტროფულად დაეცა მისი პრესტიჟი იმ მცირერიცხოვან ტომების შორის, რომლებსაც წინათ სჯეროდათ „სოლსბერის—კეთილი განზრახვისა".

სიერიის წარმომადგენელმა ჰ. კლეანმ განაცხადა, რომ სამხრეთ როდეზიის ხელისუფალნი სულ უფრო ფართოდ ავრცელებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტებისაგან გადმოღებულ აპარტეიდის პოლიტიკას, აძლიერებენ პატრიოტთა, ზიმბაბვეს მთელი ხალხის დევნას. ამ ვითარებაში, ღონიშნა მან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უკანონოდ ყველა სახელმწიფო უნდა ბოიკოტის დაიცვას რეზოლუციები, რომლებიც სამხრეთ როდეზიას ეხება.

ე. კენედის განცხადება

ვაშინგტონი, 27 მარტი. (საკდესი). სენატორმა ედვარდ კენედიმ დღეს განაცხადა, რომ არ გამორიცხავს 1976 წელს დანიშნულ არჩევნებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის დასახელების შესაძლებლობას.

იგი ესაუბრა მასაჩუსეტსის შტატის სტუდენტთა ჯგუფს, რომლებიც მას ეწვივნენ.

ინგლისი

ლეიბორისტული მთავრობის ბიუჯეტი

ლონდონი, 27 მარტი. (საკდესის კორ.). **ინგლისის ფინანსთა მინისტრმა დ. ჰილმ პარლამენტს წარუდგინა ახალი ლეიბორისტული მთავრობის ბიუჯეტი.**

თავის მოხსენებაში მან დასტა ინგლისის ეკონომიკის მდგომარეობის უნუგეშო სურათი. დ. ჰილმ ეჭვი გამოთქვა, რომ ინგლისმა წელს აწარმოოს მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე 1973 წელს.

ლეიბორისტთა მთავრობა, როგორც ეს აღნიშნული იყო წინასაარჩევნო მანიფესტში, აპირებს იელისის დამლეგს გაადიდოს ღრმად მოხუცებულთა პენსიები, დახმარება უმუშევრობის გამო და სხვა მისაცემლები სოციალური უზრუნველყოფის ხაზით. გადაწყვეტილია აგრეთვე შეამცირონ ქვეყნის სამხედრო ხარჯების საერთო თანხა 228 მილიონი გირვანქა სტერლინგით.

ამავე დროს მთავრობამ გადაწყვიტა გაადიდოს 1 აპრილიდან სიგარეტის, ლუდის, აგრეთვე ბენზინის ფასები. გადადებენ საშემოსავლო გადასახადსა და კორპორაციების გადასახადს.

ფინანსთა მინისტრმა აღიარა, რომ ინფლაციის ტემპი იზრდება და რომ თებერვალს შუა რიცხვებში საცალო ფასების ინდექსი ქვეყანაში 13,2 პუნქტით გაიზარდა გასული წლის თებერვალთან შედარებით. საცალო ფასების ზრდა „ძნიშვნელოვანი დარჩება", დასძინა მან.

ჰ. ჰილმ განაცხადა, რომ მიღწეულია შეთანხმება, რომ ინგლისს ათი წლის ვადით მისცენ მილიარდი გირვანქა სტერლინგი უცხოეთის სესხის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დასაფარავად.

რწმუნებათა სიგელების გადაცემა

პარიზი, 27 მარტი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველმა ელჩმა საფრანგეთში ერნსტ შოლცმა ელისეს სასახლეში რწმუნებათა სიგელები გადასცა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჟ. პომპიდუს.

ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვაში ჟორჟ პომპიდუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მოვლენა ევროპაში დაძაბულობის შენელების სიმბოლოა. პრეზიდენტმა თქვა, რომ საფრანგეთი ისწრაფვის ხელი შეუწყოს ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. „საფრანგეთი, განაცხადა მან, — ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა განამტკიცოს კავშირი ქვეყანასთან, რომელმაც შესანიშნავ ეკონომიურ წარმატებებს მიაღწია".

□

იხევენ ჩინეთის საზღვრისაკენ

რანგუნი, 27 მარტი. (საკდესი). ბირმის პრესა იუწყება, რომ მთავრობის ჯარები წარმატებით ეწევიან ოპერაციებს პროპეკინური ორგანიზაციის „თეთრი ალმის" შეიარაღებული რაზმების წინააღმდეგ ქვეყნის ჩრდილოაღმოსავლეთ რაიონებში. შეიარაღებული შეტაკებების შედეგად მეამბოხეებს დიდი ზარალი მოუვიდათ და იხევენ ჩრდილოეთისაკენ, ბირმა-ჩინეთის საზღვრისაკენ.

როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ბირმის არმიის ქვეგანაყოფებს დიდ დახმარებას უწევს ადგილობრივი მოსახლეობა: „თეთრი ალმის" ხელმძღვანელობამ ტერორისა და ძალადობის ტაქტიკით აიმხედრა თავის წინააღმდეგ მცხოვრებლები, რომლებიც მშვიდობიან შრომას ეწევიან.

ბირმის გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ „თეთრი ალმის" რაზმების ახლანდელი შეიარაღებული წინააღმდეგობა შეუძლებელი იქნებოდა გარედან დახმარების მიუღებლად. მეამბოხეებისათვის წარმოუელი იარაღი, დოკუმენტები არავითარ ეჭვს არ ტოვებენ, ბირმის რომელი მეზობელი დგას მათ ზურგს უკან.

ფოტოინფორმაცია

კარაჩი, სადაც ოთხი მილიონი კაცი ცხოვრობს, 1959 წლამდე პაკისტანის დედაქალაქი იყო. თანამედროვე კარაჩი ხუროთმოძღვრება, ფართოვდება მისი საქმიანი ცენტრი, შენდება სამრეწველო ნაწილები. იგი არა მარტო მსხვილი სამრეწველო ცენტრია, არამედ ქვეყნის მთავარი ნავსადგურიც არის. მასზე თითქმის მთელი საზღვაო საგარეო-სავაჭრო საქონელბრუნვა მოდის.

ხურათებზე: კარაჩის ადმინისტრაციული შენობა.

საკდესის ფოტო.

ჟენევის თათბირზე

ჟენევა, 26 მარტი. (საკდესის კორ.). **მუშაობას განაგრძობს თათბირი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე.**

პირველ კომისიაში (უშიშროების საკითხები) ამუშავებენ ერთიერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის — საზღვრების ურღვევობის პრინციპის შეთანხმებულ ფორმულირებას. კომისიის სხვა სამუშაო ორგანოებში გრძელდება აზრთა გაზიარება ევროპაში ნდობისა და სტაბილურობის გამტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

ეკონომიური თანამშრომლობის კომისიის სამუშაო ორგანოებში ათანხმებენ ტექსტებს, რომლებიც ითვალისწინებენ ინფორმაციის გაცვლის გაფართოებას ევროპისა და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. **მუშაობენ** აგრეთვე იმ ტექსტების ფორმულირებებს, რომლებიც ეხება სამუშაო ძალის მიგრაციასთან დაკავშირებულ ეკონომიურ და სოციალურ პრობლემებს.

მესამე კომისია და მისი სამუშაო ორგანოები განაგრძობენ კულტურის, განათლების, ინფორმაციისა და კონტაქტების დარგში დასკვნითი დოკუმენტის რედაქტირებას. კონტაქტების ქვეკომისიაში, კერძოდ, **აბუშავებენ** შეთანხმებულ ფორმულირებებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო დაწესებულებების, არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონტაქტების, აგრეთვე საოჯახო კავშირურთიერთობის საფუძველზე კონტაქტების განვითარებას. ინფორმაციის ქვეკომისიაში გრძელდება ბაბეჭდი ინფორმაციის გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის საკითხებზე დასკვნითი დოკუმენტის ტექსტების რედაქტირება.

ამბები • ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის საინფორმაციო ბიულეტენები

მსოფლიო დღეს

საერთაშორისო თემაზე

ვის ემსახურება „ზესახელმწიფოთა" თეორია?

როგორც ჟურნალისტთა წრეებში ამბობენ, უოლტონ ჩერჩილს ერთხელ ჰკითხეს: თქვენი წარმოდგენით როგორი იქნება სამყარო 10-15 წლის შემდეგო. ჩერჩილმა თითქოს უპასუხა: „იგი წარმოდგება როგორც ცირკის ასპარეზი, რომელზეც ეშვების ქნევით წრიალებს ორი სპილო, ხოლო წარმოდგენის დანარჩენი მონაწილენი მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ მათ ფეხი არ დაადგან გიგანტებმა".

ჩვენ არ ვიცით, მართლა ითქვა თუ არა ასეთი რამ, მაგრამ უდავოა, რომ ჩვენი

სამყაროში ცოტა როდია ისეთი პოლიტიკური მოღვაწე, რომლებიც ცდილობენ მსოფლიო ასპარეზი წარმოვიდგინონ როგორც ცირკის მანეჟი, რომლის დანიშნულებაა გიგანტების ბრძოლა. სწორედ ამათ გაავიცელეს თეორია ორი „ზესახელმწიფოს" შესახებ, რომლებიც თითქოს სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების ზურგს უკან სდებენ ურთიერთ შეთანხმებებს და განაგებენ მსოფლიო პოლიტიკის ბედს. **ასეთ „ზესახელმწიფოებად" ასახელებენ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს.**

ეს კონცეფცია ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბადა. ამჟამად ამით მეიარაღდნენ მაოისტები. ბუნებრივია, კონცეფციას აჩენევია იმ წყობილების გადმონაშთები, რომლის წარმომადგენლებმაც იგი გამოიგონეს. ბატონობისა და დაქვემდებარების პრინციპი — იმპერიალიზმის პოლიტიკის ფუძემდებელი პრინციპია. სწორედ „ძალის პოზიციის" პოლიტიკაში, რომლითაც მრავალი წელი ხელმძღვანელობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების გავლენიანი წრეები, რელეფურად შეისხეს ხორცი იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელმა ისეთმა ხერხებმა, როგორიც არის დიქტატი და მუქარა, აგრესიულობა მცირე და უფრო სუსტი ქვეყნების მიმართ.

ასეთ პოლიტიკას სულ უფრო გადაჭრით გმობენ ხალხები. აქედან მომდინარეობს იმპერიალისტური პროპაგანდის დაქანებითი ცდები გაამართლოს მისი შემქმნელები. „ზესახელმწიფოთა" თეორიის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება სწორედ ამაში მდგომარეობს.

დასახელებული კონცეფციის შემთხზველთა გარაუდი ცხადია: **დასვან ტოლობის ნიშანი სოციალიზმის პოლიტიკასა და იმპერიალიზმის პოლიტიკას შორის.** გაატარონ აზრი, რომ გამორნდა რაღაც თვისებრივად ახალი, ასე ვთქვათ, „პროგრესული" იმპერიალიზმი, აჩვენონ, რომ იმპერიალიზმი როგორც სოციალური სისტემა ბუნებაში თითქოს აღარ არსებობს — აი მათი ხრიკების მიზანი.

„ზესახელმწიფოთა" კონცეფციის ავტორები მას საფუძვლად უდებენ უწინარეს ყოვლისა შემდეგ ძირითად ელემენტებს: თანამედროვე სამყარო — ეს არის სახელმწიფოთა ერთობლიობა, რომელთა საგარეო პოლიტიკას კავშირი არა აქვს მათს სოციალურ წყობილებასთან; საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი პრინციპია ძალა; არის ორი-სამი „ზესახელმწიფო", რომლებიც მსოფლიოს ჰყოფენ გავლენის სფეროებად; „ზესახელმწიფოები" ერთმანეთს ებრძვიან, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ ზღვარამდე — საქმე არ მიჰყავთ მსოფლიო თერმოატომურ ომამდე, მშვიდობა დედაწიწაზე ემყარება „შიშის წონასწორობას".

